ტვინების ბრძოლა
ფინალი | შემოდგომა 2023
U8 (VI, VII, VIII კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
მოისმინეთ **პირველი** შეკითხვა. **ტაილანდში** საჯარო სამსახურში მყოფი ადამიანების უფლებები ხშირად **ირღვევა**. ზოგჯერ ამბობენ, რომ ტაილანდში ადამიანის უფლებათა დაცვა **არ არსებობს**. **სიმბოლურია**, რომ ამ ადამიანების **უფლებათა დაცვის დღე** ემთხვევა **ამ თვესა** და **რიცხვს**. დაწერეთ ეს **თვე და რიცხვი**.

პასუხი: პირველი აპრილი
კომენტარი: ტაილანდში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებობს გარკვეული პრობლემები. სიმბოლურია, რომ ამ ადამიანთა უფლებების დღე აღინიშნება მაშინ, როცა ტყუილი ნებადართულია, ანუ პირველ აპრილს. კითხვის ნომერი დამატებითი მინიშნება გახლავთ რიცხვ პირველზე.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
სიტყვებით "**იქსი**" და "**ასეთი**" შეცვლილია **თითო-თითო სიტყვა**.
ერთი ვერსიით, რამდენიმე საუკუნის წინ ევროპაში **იქსების** პოპულარიზაცია საფრანგეთის მონარქ **ლუი მეცამეტეს** მიეწერება, რადგან ის გახდა **ასეთი 23 წლის ასაკში**. ცნობილი **ასეთი** პიროვნებები არიან **ვინ დიზელი**, **დუიენ ჯონსონი**, **ჯეფ ბეზოსი**, **ზინედინ ზიდანი** და სხვები. დაასახელეთ იქსი **ექვსი ასოსგან** შემდგარი სიტყვით.

პასუხი: პარიკი
კომენტარი: ლუი მეცამეტე ნაადრევად გამელოტდა, ამიტომ მან პარიკის ტარება გადაწყვიტა, ხოლო მეფის გადაწყვეტილება სამეფო კარის და შემდგომ მთელი ევროპის მოდაზე აისახა. ჩვენ ჩამოგითვალეთ ცნობილი მელოტი პიროვნებები.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი გადმოცემის თანახმად, შუა საუკუნეების ერთ-ერთმა მოღვაწემ მიიღო მეტსახელი "**პლუზი**", რადგან მას **ჰქონდა ასეთი იქსები**. **ასეთი იქსები** დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით **10 პროცენტს** აქვს და განსაკუთრებით გავრცელებულია **სკანდინავიის ქვეყნებში**. დაწერეთ **ორი სიტყვა**, რომლებიც **შევცვალეთ** სიტყვებით "ასეთი იქსები".

პასუხი: ლურჯი თვალები
ჩათვლა: ცისფერი თვალები
კომენტარი: გადმოცემის თანახმად, შუა საუკუნეების მოღვაწემ ჯვაროსნებისგან მიიღო მეტსახელი "პლუზი", რადგან მას სხვებისგან გამორჩეული ვიზუალური მახასიათებელი ჰქონდა. სიტყვა "პლუზი" წააგავს თანამედროვე ინგლისურ სიტყვას "Blues" [ბლუზ]. მეტსახელი მიეწერება იმას, რომ ამ მოღვაწეს ჰქონდა ცისფერი თვალები. ცისფერი თვალები დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 8-10 პროცენტს აქვს.

4. 5-ქულიანი შეკითხვა
[შენიშვნა წამყვანს: ლექსის ნაწყვეტი წაიკითხეთ ნელა და გარკვევით]

მოვისმინოთ ნაწყვეტი აკაკი წერეთლის ლექსიდან:
“მეფე მოჰკლეს **მონღოლებმა**,
დიმიტრიც **მტრის** მოკლულია!..
მაგრამ ნუთუ **შინ ჩვენმავე**
გამოგვტაცა ჩვენ **იქსი**?!”

ამავე ლექსში აკაკი იქსს **ლამპრად** მოიხსენიებს. აღადგინეთ სახელი, რომელიც შევცვალეთ იქსით.

პასუხი: ილია
კომენტარი: მოგეხსენებათ, აკაკი და ილია ერთსა და იმავე ეპოქაში მოღვაწეობდნენ. ლექსში აკაკი ეხმიანება იმ ფაქტს, რომ, გავრცელებული ვერსიით, ილიას მკვლელები ქართველები იყვნენ. ილია ცოდნას ანთებულ სანთელს ადარებდა, აკაკიმ კი თვით ილია ლამპარს შეადარა.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]

ამერიკაში მცხოვრები ერთი ბიზნესმენი **იქსების** მეშვეობით **გამდიდრდა**. მასალაზე გამოსახულია მისი **სახლი**, რომელსაც **იქსის სასახლეც** შეარქვეს. **1999 წელს** გამოჩენილი **ანიმაციური სერიალის პერსონაჟი ცხოვრობს იქსში**. **არ გთხოვთ** იქსის დასახელებას; დაასახელეთ ეს **პერსონაჟი**.

პასუხი : სპანჯბობი / ღრუბელი ბობი
კომენტარი: ბიზნესმენი ანანასის გაყიდვით გამდიდრდა და საკუთარ სახლს ზემოდან ანანასის ქანდაკებაც დაადგა, რაც მასალაზეც შეგეძლოთ, შეგემჩნიათ. ანანასში ცხოვრობს ნიკელოდეონის ცნობილი პერსონაჟი სპანჯბობი, იგივე ღრუბელი ბობი.

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ვიქტორ პელევინის ერთ ნაწარმოებში სამყარო **კომპიუტერულ თამაშს** ჰგავს. ერთ ეპიზოდში პერსონაჟი **იღუპება** და **თავიდან იტვირთება თამაშში**. პერსონაჟისთვის ყველაფერი **უჩვეულოდ ნაცნობია**, რის გამოც ის ახსენებს **ფრანგულ ტერმინს**. დაასახელეთ ეს **ტერმინი**.

პასუხი:დეჟა ვუ
კომენტარი : პერსონაჟი თავიდან იტვირთება იმავე სამყაროში, რის გამოც მისთვის ყველაფერი უჩვეულოდ ნაცნობია. ზოგიერთ მომენტში პერსონაჟი განიცდის ე.წ. დეჟა ვუს. დეჟა ვუ გულისხმობს განცდას, თითქოს თავს გადამხდარი მოვლენები წარსულში უკვე გამოგიცდიათ.

7. 5-ქულიანი შეკითხვა
შეკითხვაში **გამოტოვებულია სიტყვები**.
ერთი დაკვირვების თანახმად, **სტუდენტი**, რომლებიც სწავლობს **ეთიკასა** და **მორალს**, სხვებზე ხშირად **[გამოტოვებულია ორი სიტყვა] ბიბლიოთეკიდან**, თანაც, ძირითადად, მორალისა და ეთიკის თემებზე. **ოცდამეერთე** საუკუნის ნაწარმოების პერსონაჟი [გამოტოვებულია **იგივე** ორი სიტყვა] **ნაცისტურ გერმანიაში**. დაწერეთ გამოტოვებული ორი სიტყვა.

პასუხი: იპარავს წიგნებს
კომენტარი: ერთი პროფესორის დაკვირვებების თანახმად, სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ეთიკასა და მორალს, სხვებზე ხშრად იპარავენ წიგნებს. ნაცისტურ გერმანიაში წიგნებს იპარავენ მარკუს ზუზაკის რომანში "წიგნის ქურდი".

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]
ერთი ვერსიით, იქსის სახელი ასოცირდება **ჩინელ** დიდგვაროვნებთან, რომლებსაც ცერემონიული **თავსაბურავები მრგვალი ნარინჯისფერი ბურთებით** ჰქონდათ მორთული. დაასახელეთ იქსი ერთი **ცხრაასოიანი** სიტყვით, თუ გეტყვით, რომ ის **ზამთრის სეზონზე ვიტამინების** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

პასუხი: მანდარინი
კომენტარი: ასე ეწოდებოდათ ჩინელ დიდგვაროვნებს; ერთი ვერსიით, სწორედ მათი სპეციფიკური თავსაბურავის გამო ეწოდა ამ ხილს ეს სახელი. საინტერესოა, რომ ჩინურ ენასაც მანდარინი ჰქვია.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
1936 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე **მან** ოთხი **ოქროს მედალი** მოიპოვა და **რეკორდული** შედეგი დააფიქსირა. ნაწარმოებში "**წიგნის ქურდი**" **რუდი** სახეს **მუქად იღებავს** და ისე **დარბის**, რათა **მას** დაემსგავსოს. დაწერეთ მისი **სახელი** და **გვარი**.

პასუხი: ჯესი ოუენსი
კომენტარი: ჯესი ოუენსმა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი დააფიქსირა 1936 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე, რომელიც ნაცისტურ გერმანიაში გაიმართა. ოუენსი შავკანიანი იყო, ამიტომ რუდი სახეს მუქად იღებავს და ისე დარბის, რათა თავის კუმირს დაემსგავსოს.

10. 5-ქულიანი შეკითხვა
შეფ-მზარეულმა ბენუას ბრიუელმა **12-დუიმიან პიცაზე** მოათავსა **254 სახეობის ყველი**. ამ **არნახული შედეგის** მიღწევის წყალობით, ბენუას ბრინუელი **მოხვდა იქსში**. საინტერესოა, რომ წლების განმავლობაში იქსის **150 მილიონზე მეტი ეგზემპლარია** გაყიდული. დაასახელეთ იქსი **ორი** ან **სამი** სიტყვით.

პასუხი: გინესის რეკორდების წიგნი
ჩათვლა: გინესის წიგნი
კომენტარი: სიტყვა “არნახული შედეგი” მინიშნებაა იმაზე, რომ ბენუას ბრიუელმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა და მსოფლიო რეკორდების ცნობილ წიგნში მოხვდა. საინტერესოა, რომ გინესის რეკორდების წიგნის 150 მილიონზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული, რაც, თავის მხრივ, ერთგვარად რეკორდული მაჩვენებელია.

11. 6-ქულიანი შეკითხვა
გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ზოგიერთ ბანკეტზე შეხვდებოდით დესერტს: ნაყინის **ბურთულას** პატარ-პატარა **ღრმულებით**, რომელშიც ჩარჭობილი იყო **დროშა**. არ გეკითხებით, რომელი **ქვეყნის დროშაზეა** საუბარი. **მაქსიმალურად ზუსტად** დაასახელეთ, რას განასახიერებდა **ნაყინის ბურთულა**.

პასუხი: მთვარე
კომენტარი: სამოციანი წლების ბოლოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წარმატებით შეასრულა მისია, რომლის მიზანიც მთვარეზე გამგზავრება გახლდათ. ბურთულის ფორმის ნაყინი, რომელსაც ზედაპირზე კრატერების მსგავსი ღრმულები აქვს, განასახიერებდა მთვარეს. ნაყინში ჩარჭობილი იყო შეერთებული შტატების მინიატურული დროშა.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა


]
თქვენ წინაშეა ერთი **ფეხბურთელის ტატუირებული** ხელი, რომელზეც ჩვენ **ერთი სიმბოლო დავფარეთ**. ამ ფეხბურთელის თქმით, მისი ცხოვრების დევიზია “**არასოდეს დანებდე**”. **შვიდი დამატებითი ქულის** მისაღებად პასუხების ფურცელზე **გამოსახეთ** ის **სიმბოლო**, რომელიც ჩვენ დავფარეთ.

პასუხი: +
კომენტარი: როგორც ხედავთ, ჩვენ სიმბოლო რიცხვ 90-ის ზემოთ დავფარეთ. ცნობილი ესპანელი ფეხბურთელის, სერხიო რამოსის თქმით, იგი არასდროს ნებდება. სწორედ ამიტომ, მას აქვს ტატუ წარწერით +90, რომელიც დამატებით დროში მისი გატანილი გოლების სამახსოვროდაა დახატული.

სიტყვები “შვიდი დამატებითი ქულის მისაღებად” დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა “პლუს” სიმბოლოზეც და დამატებით დროზეც.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
თავდაპირველად **უოლტი** აპირებდა, **მისთვის მორტიმერი** დაერქმია, თუმცა მეუღლემ ურჩია, სახელი **შეემოკლებინა**. სხვა ვერსიით, **მისი სახელი** იმ დროის ცნობილი **მსახიობის სახელის** მიხედვით შეირჩა. დაწერეთ მისი **მოკლე** სახელი, რომელშიც **ორივე ხმოვანი ერთნაირია**.

პასუხი: მიკი / მიკი მაუსი
კომენტარი: შეკითხვაში ნახსენები უოლტი გახლავთ დისნეი, ხოლო მისი ყველაზე ცნობილი პერსონაჟი, მიკი მაუსი, თავდაპირველად მორტიმერი გახლდათ. ვერსიის თანახმად, დისნეის მეუღლემ ურჩია, გრძელი სახელი - მორტიმერი - მიკიდ შეემოკლებინა.

14. 6-ქულიანი შეკითხვა
საფეხბურთო კლუბ “**მილანის**” გულშემატკივრები ხშირად ადანაშაულებენ მათ **ყოფილ** მეკარეს, **ჯანლუიჯი დონარუმას** და აცხადებენ, რომ მან **კლუბი ფულზე გაცვალა**. ამის **ხაზგასასმელად**, ისინი ხშირად **დონარუმას** გვარში **“ნ”** ასოს ცვლიან **სხვა თანხმოვნით**. პასუხების ფურცელზე დაწერეთ ეს **სხვა თანხმოვანი**.

პასუხი: ლ
კომენტარი: გულშემატკივრების ნაწილი ფიქრობს, რომ დონარუმა ახალ გუნდში უკეთესი ხელფასის გამო გადავიდა. იმის საჩვენებლად, რომ მას ახალ გუნდში მხოლოდ ფინანსები აინტერესებს, დონარუმას გვარში ასო “ნ”-ს ცვლიან ასოთი “ლ”, რითაც მიიღება “დოლარუმა”. მოგეხსენებათ, დოლარი ვალუტაა.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა



]

სამოასა და **ამერიკულ სამოას** შორის მანძილი **სულ რაღაც 220 კილომეტრია**. ამის მიუხედავად, მათ **დროებს** შორის სხვაობა **მთელი 24 საათია**. ამას **ტურისტები** იყენებენ იმისთვის, რომ **იქსს ორჯერ შეხვდნენ**. დაასახელეთ იქსი **ორი სიტყვით**.

პასუხი: ახალი წელი

კომენტარი: ტურისტები სამოაში ჩადიან და 31 დეკემბრის საღამოს იქ ხვდებიან, 24 საათში კი ამერიკულ სამოაში მიდიან და იქ უკვე მეორედ აღნიშნავენ ახალ წელს. ამ შეკითხვით წინასწარ გილოცავთ ახალ წელს და გემშვიდობებით.